7.

ფაკულტეტი: საზოგადოებრივ მეცნიერებათა

მიმართულება: მიმართულებათაშორისი სპეციალობები –11
Interdirectional specialities - 11

საბაკალავრო პროგრამა: ტურიზმი – 1120
Tourism

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
Bachelor of Business Administration in Tourism

პროგრამის ხელმძღვანელი: მელანაშვილი ნაილი. ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ტურიზმი - Tourism

მიმართულება

მიმართალაგათაშორისი 11

ფაკულტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

პირველი საფეხური, ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

აკადემიური

სწავლების ენა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში–60 კრედიტს, სემესტრში–30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.

პროგრამის 240 კრედიტიდან ძირითადი სპეციალობის **(major)** პროგრამა მოიცავს 170 კრედიტს. იგი თავის მხრივ შედგება მიმართულების ძირითადი სავალდებულო (130 კრედიტი) და ძირითადი სპეციალობის არჩევითი მოდულებისგან (10 კრედიტი); საუნივერსიტეტო სავალდებულო(30 კრედიტი); დანარჩენი 70 კრედიტი მოიცავს დამატებითი სპეციალობის (**minor)-** 60 კრედიტს და თავისუფალი კომპონენტების 10 კრედიტს.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში.

Bachelor of Business Administration in tourism

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანს წარმოადგენს :

მისცეს სტუდენტებს პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი მაღალი დონის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც

უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული ცნობიერების ფორმირებას ტურიზმის ბიზნესის სფეროში.
უზრუნველყოს სტუდენტთა მიერ ერთის მხრივ, ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების თავისებურებების და ურთიერთკავშირების, და მეორეს მხრივ, ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის სახეობების კომპლექსური საკითხების გაცნობიერება
მოამზადოს სპეციალისტები ტურიზმის დარგისთვის, რომლებიც ცოდნაზე დაფუძნებით შეძლებენ თანამედროვე ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრების მოთხოვნების დაკმაყოფილებას ბაკალავრისათვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში და ტურიზმის სფეროში ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან ადმინისტრირებას;
შეუქმნას სტუდენტებს ზოგად ინტელექტუალური რესურსი, გამოუმუშაოს თანამედროვე პროფესიული კატეგორიებით აზროვნების უნარი, განუვითაროს პრაქტიკულ საქმიანობაში თეორიული ცოდნის გამოყენების ჩვევები.
ჩამოუყალიბოს სტუდენტებს აკადემიური კომპეტენციების სისტემა შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	***იცის:*** • ტურისტული ფირმების მართვის ფუნდამენტური პრინციპები • ეკონომიკური მეცნიერების ძირითადი პრინციპები, თეორიები და კონცეფციები. • ტურისტული რესურსების სახეები, აცნობიერებს მათ მრავალფეროვნებას • სასტუმროთა კლასიფიკაციისა და მართვის ორგანიზაციული მოდელები • კვების საწამოთა მუშაობის მეთოდები, მენიუსა და სერვისის სახეები ***ფლობს:*** • ინფორმაციას ბიზნესისა და ტურიზმის სფეროში მიმდინარე უმთავრესი პროცესების შესახებ; • ცოდნას ტურისტული პროდუქტის კომპლექსური ხასიათის შესახებ და აცნობიერებს მის შემადგენელ კომპონენტებს შორის რთულ ურთიერთკავშირსა და ფორმირების თავისებურებებს • ფუნდამენტალურ პრინციპებს ტურიზმის სფეროში, სტრატეგიული მენეჯმენტის, მარკეტინგის, ადამიანური რესურსების მართვის, აღრიცხვის, პროექტების მენეჯმენტის, საინფორმაციო სისტემებისა და ბიზნესის სხვა ფუნქციონალურ სფეროებში. **აქვს ცოდნა**: • საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა და დახურვის პროცედურების შესახებ; • საქართველოს რეგიონების ყოფასა და ეთნოგრაფიულ თავისებურებების შესახებ • განთავსების, კვებისა და ტრანსპორტის ინდუსტრიების მართვის საფუძვლების შესახებ

	• ღონისძიებების მნიშვნელობისა და მისი განხორციელების მექანიზმის შესახებ ***აცნობიერებს:*** • ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურების მნიშვნელობას და იცნობს ექსკურსიების ჩატარების ტექნოლოგიას • საქართველოს ტურისტულ პოტენციალს და ტურიზმის როლს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში • ტურისტის მოტივაციებს, ტურისტული ბაზრის თავისებურებებს;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	**შეუძლია:** • ბიზნესის წარმართვის ოპტიმალური მიმართულებების შერჩევა. • ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასება და მათი გამოყენება; • ტურიზმის სტრუქტურული ერთეულების, დარგის კომერციული დაწესებულებებისა და არასამთაბრობო ორგანიზაციების შიდასაწარმოო პროცესების ანალიზის საფუძველზე ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება • ტურისტული საწარმოს ჩამოყალიბება, ორგანიზაციული სტრუქტურის აგება და პერსონალის შერჩევა • ტურისტული მარშრუტისა, პროგრამისა და ტურის დაგეგმა, ფორმირება და რეალიზაცია, ტურისტების მარშრუტზე მომსახურება • გლობალურ გამანაწილებელ სისტემაში ბილეთების დაჯავშნა • ტურისტული პროდუქტის კომპლექსურობისას მონაწილე სუბიექტებთან სახელშეკრულებო ურთიერთობების სწორად ჩამოყალიბება • საჭიროებისამებრ გამოიყენოს საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე ტექნოლოგიები და სარეკლამო ღონისძიებები • განთავსების და კვების ინდუსტრიის საწარმოთა ოპერირება მენეჯმენტის საშუალო და ქვედა დონეზე • ტურისტული მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა პროექტების დაგეგვა და განხორციელება • ღონისძიებათა დაგეგმვა და ორგანიზება;
დასკვნის უნარი	**შეუძლია:** • ეკონომიკური მოვლენების სწორი ანალიზი მიკრო და მაკრო დონეზე; • ქვეყნისა შიდა და საერთაშორისო ტურიზმის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და მათი განზოგადება • საქართველოს ტურისტულ–რეკრეაციული პოტენციალის ანალიზი რეგიონების მიხედვით, მიღებული შედეგების შეჯერება და სინთეზი, განზოგადებული დასკვნების გაკეთება; • ტურიზმისა და ბიზნესის სფეროსთვის დამახასიათებელი ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და დასაბუთებული და ლოგიკური დასკვნების გამოტანა • ტურიზმის სფეროში პრობლემის ალტერნატიული გზების განსაზღვრა და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება და დაცვა.

კომუნიკაციის უნარი	**შეუძლია:** • იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, ტურისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე. საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ენის სწავლება ხორციელდება ,,ენების საერთო ევროპული ჩარჩო''(,,Common European Framework of Referenc for Lenguages''*CEFR)* ფორმატში A2-B1; ასევე, შეუძლია გერმანულენოვან ტურისტებთან კომუნიკაცია (ფლობს A 1.2 დონეს) • მონაწილეობის მიღება დისკუსიაში შესაბამის დარგის სპეციალისტებთან • გუნდში მუშაობა და წინასწარ გაწერილი სამუშაოს ვადაში შესრულება და წარდგენა • თანამედროვე საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.
სწავლის უნარი	**შეუძლია:** • სწავლის დროს თეორიულ კონტექსტში განხილული თემების გაშლა და დამატებითი მასალების მოძიება, მონაცემების ინტერპრეტაცია, დამუშავება • ლიტერატურასთან, წყაროებთან და ინტერნეტ რესურსებთან მუშაობა ტურიზმის სფეროში კარიერული ზრდის უზრუნველყოფის მიზნით • საკუთარი ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა
ღირებულებები	• აცნობიერებს ტურიზმის ბიზნესის წარმოების სამართლიან ხერხებს, ბიზნესში ქცევის ეთიკურ ნორმებსა და მორალურ პრინციპებს. • მონაწილეობს ტურიზმის ღირებულების ფორმირების პროცესში, ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად • პატივს სცემს სხვა ხალხების ეთნო-კულტურულ ფასეულობებს

სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები
სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები/ ხერხები, როგორებიცაა სალექციო მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ევრისტიკული, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვ კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სალექციო მეთოდი	ლექცია წარმოადგენს შესასწავლი თემის შესახებ სისტემატიზებული ცოდნის, კონცეფციებისა და თეორიების მომცველი ინფორმაციის სტუდენტური აუდიტორიისათვის სიტყვიერი გადაცემის ეფექტურ მეთოდს.
დისკუსია/დებატები	დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
ჯგუფური მუშაობა	ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
წიგნზე მუშაობა	შესაძლებელია ხორციელდებოდეს მასწავლებლის მეთვალყურეობით ან დამოუკიდებლად. არსებობს წიგნზე მუშაობის სხვადასხვა ხერხები: კონსპექტირება, ტექსტის გეგმის შედგენა, ტესტირება, ციტირება, ანოტაცია, რეცენზია, ცნობის შედგენა, ფორმალურ-ლოგიკური მოდელის შედგენა.
ლაბორატორიული	გულისხმობს დავალების კეთებით ("learning through doing") სწავლებას, რაც ხორციელდება განსაკუთრებულ გარემოში - ლაბორატორიაში, და უზრუნველყოფს თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირის კონცეპტუალურად გააზრების შესაძლებლობას.
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება	სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
თანამშრომლობითი სწავლება	იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს

	პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
ევრისტიკული	ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
შემთხვევის ანალიზი	პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.
გონებრივი იერიში	ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში.
როლური და სიტუაციური თამაშები	როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
დემონსტრირება	ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი	• სწავლების *ინდუქციური* მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. • სწავლების *დედუქციური* მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

	• სასწავლო პროცესში *ანალიზის* მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. • *სინთეზის* მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.
ახსნა-განმარტებითი	ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება	მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- შუალედურ შეფასებებს;
- დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი ღია და დახურული კითხვებით, ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია, ქვიზი, ესსე და ა.შ) სახით.

შეფასების წესი, ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კურსის სწავლებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება უნივერსიტეტში ფასდება 100 ქულიანი

სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება. კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასებაა 51 ქულა.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- **(A)** - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- **(B)** - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- **(C)** - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- **(D) -** დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- **(E)** - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- **(F)** - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებმა შეიძლება დაიკავონ პოზიციები როგორც კერძო სექტორში, ასევე ტურისტულ ადმინისტრაციაში მართვის სხვადასხვა დონეზე; კუსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ:

- ტურისტულ ფირმებში
- ტურიზმის სფეროს სხვადასხვა დაწესებულებებში (სასტუმროები, რესტორნები, მუზეუმები და სხვ)
- ტურიზმის სამთავრობო სტრუქტურებში
- ტურიზმის სფეროს ადგილობრივი და უწყებრივი დაქვემდებარების ორგანიზაციებში
- ტურიზმით დაინტერესებულ ბუნებადაცვით და არასამთავრობო სტრუქტურებში

  საბაკალავრო პროგრამა აქტუალურია, შრომის ბაზარზე არის მოთხოვნა. უნივერსიტეტს ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ორგანიზაციებთან, სადაც გადიან საწარმოო პრაქტიკას და იძენენ პროფესიულ უნარ–ჩვევებს:

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა
კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ტურიზმის, ბიზნესის ადმინისტრირების ან ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი
ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანა-დო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი
საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, სათანადო ინვენტარითა და წიგნადი ფონდით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა.